ოქმი N 2

ცაგერის მუნიციპალიტეტის ორბელის თემის სოფ.ორბელის ,,გუგუმიერის'' უბნის მოსახლეობის კრების.

03.11.2022წ

კრებას ესწრებოდნენ ორბელის თემის სოფ.ორბელის ,,გუგუმიერის'' უბნის მოსახლეობა 21 მონაწილის შემადგენლიობით. კრებას ასევე ესწრებოდნენ: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ.ხმელიძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ბ. კოპალიანი. კრებას ასევე ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ორბელის თემში ბ. ლარცულიანი.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი : ბ.ლარცულიანი

კრების დღის წესრიგი:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ორბელში მდებარე ს/კ 89.04.27.256; რეგისტირებული 4755კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების თაობაზე. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხსენებელი: ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გ. ხმელიძე**

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გეგმავს სოფ.ორბელში 4755კვ.მ. ფართობის აუქციონის ფორმით პრივატიზებას, ამისათვის საჭიროა სოფლის მოსახლეობის თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: ი.მეგრელი, მ.ბურჯალიანი, მ.სილაგაძე, ლ.ჩორგოლიანი

გამომსვლელებმა აღნიშნეს რომ აღნიშნული მიწა მდებარეობს მათი უბნის მიმდებარედ ე.წ საღამიას ღელესთან და წარმოადგენს ბუნებრივ ბარიერს რომელიც იცავს სოფელს ამ ღელის დატბორვისაგან, ამასთანავე მათთვის უცნობია შეძენით დაინტერესებული პირი და რის გაკეთებას გეგმავს ამ ადგილზე. ასევე, ეს ტერიტორია წარმოადგენს სოფლისათვის საძოვარს. ყოველივე ამის გათვალისწინებით მოსახლეობა წინააღმდეგია მოხდეს ამ ტერიტორიის გასხვისება.

კრების მონაწილე 21 პიროვნებიდან ტერიტორიის გასხვისების წინააღმდეგია 21.

დაადგინეს: უარი ეთქვას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისებაზე.

კრების მინაწილეთა სახელობითი სია და ხელმოწერები უარის თქმაზე ოქმს თან ერთვის.

კრების თავჯდომარე: გ.ხმელიძე

მდივანი : ბ.ლარცულიანი

03.11.2022წ